CV

დიონისეს მოურელატოსმა დაამთავრა ათენის კაპოდისტრიას ეროვნული უნივერსიტეტი. იმავე უნივერსიტეტში მან მიიღო მაგისტრისა და დოქტორის (2009) ხარისხი ბიზანტიურ ხელოვნებასა და არქეოლოგიაში. იგი ათწლეულების განმავლობაში ასწავლის საბერძნეთისა და კვიპროსის სხვადასხვა უნივერსიტეტში. დ. მოურელატოსი იყო 2021 წელს გამოცემული ტომის „ხელოვნება და არქეოლოგია ბიზანტიასა და მის ფარგლებს გარეთ“ რედაქტორი. იგი იყო კურატორი გამოფენისა „სმირნა მე-20 საუკუნის დასაწყისში. ბიზანტინისტის გეორგიოს ლამპაკისის თვალით“ (ბიზანტიისა და ქრისტინაული ხელოვნების მუზეუმი. ათენი - 2022 წლის დეკემბერი - 2023 წლის აპრილი). იგი ასევე არის მრავალი ნაშრომის და კონფერენციების პრეზენტაციების ავტორი ბიზანტიური ხელოვნებისა და არქეოლოგიის დარგში. მის გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სინის მთას, ასევე ბიზანტიური ხელოვნებისა და არქეოლოგიის ისტორიოგრაფიას.